პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ივლისი, შაბათი, 1987 წ.
№ 138 (9549) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტუდენტთა ჰიმნი ლეილა მესხის პატივსაცემად



**ზაგრებში** ყოველი სპორტსმენის გამარჯვებას ძველი სტუდენტური ჰიმნის „გაუდეამუს იგითურით" აღნიშნავენ. უნივერსიადის მერვე დღეს ეს ჰიმნი ყველაზე მეტჯერ საბჭოთა სპორტსმენების პატივსაცემად აჟღერდა.

არადა, თბილისელი ჩოგბურთელის ლეილა მესხის წარმატება მართლაც გამორჩეული იყო გამოცდილ სპორტსმენთან ივა ბუდაროვასთან. ქართველი ჩოგბურთელი ამ დღეს შეუდარებლად ზუსტად თამაშობდა. ლეილა მესხმა უნივერსიადის ჩემპიონის ტიტული ორ პარტიაში ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვების შედეგად დაიმსახურა — 7:5 და 7:6.

ვაჟთა წყვილებში ოქროს მედლები ჩეხოსლოვაკიელთა „დუეტს" (რიჰარდ ფოგელემი, ბრონისლავ სტანკოვიჩი) ხვდა. მან ფინალში ანდრეი ოლხოვსკისა და გინტარს ძელდეს წყვილი დაამარცხა — 6:3, 7:5, 6:3.

გრძელდება მძლეოსანთა ტურნირი. 300 მ დაბრკოლებებით რბენაში პირველი კიეველი ვალერი ვანდიაკი იყო — 8.32,23. შუბის ტყორცნაში ყველას ტალინელმა მარეკ კალეტამ აჯობა — 81 მ. 42 სმ.

კალათბურთელ ქალთა ფინალში იუგოსლაველებმა საბჭოთა კავშირის ნაკრები დაამარცხეს 80:73 (37:36). ვაჟებმა კი მორიგ მატჩში ბულგარელებს აჯობეს — 116:97.

ფრენბურთელ ქალთა ფინალში ერთმანეთს სსრ კავშირისა და ჩინეთის გუნდები შეეჭიდებიან. ვაჟთა ფინალი საბჭოთა გუნდის გარეშე ჩატარდება. პირველობას აქ იუგოსლავიისა და ჩინეთის სპორტსმენები გაითამაშებენ.

# სტარტებისთვის — მზად ვართ!

**დიდი** ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების სარბიელი გახდება არსებითად მთელი ჩვენი რესპუბლიკა. ქვეყნის ნორჩ სპორტსმენებს, თბილისის გარდა, საუკეთესო სპორტულ ბაზებს დაუთმობენ საქართველოს უდიდესი ქალაქები და რაიონული ცენტრები: სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი, ქუთაისი, თელავი, გორი, ფოთი, სამტრედია, ხობი. მომავალი სტარტებისათვის მათი მზადყოფნის შესახებ სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ რევაზ ციწურაძემ. თამაშებისათვის მზადება ძირითადად დამთავრდა. ქალაქებში, სადაც ასპარეზობა გაიმართება, მოწესრიგებული და კეთილმოწყობილია სპორტული ნაგებობანი, საერთო საცხოვრებლები, რომლებშიც ნორჩი სპორტსმენები იცხოვრებენ, მოგვარებულია სამახსოვრო სუვენირების წარმოება, სადღესასწაულოდ ირთვება სტადიონები და ქუჩები.

თითოეულ გუნდს ეყოლება შეფები — შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. მათ სტუმრებისათვის მოამზადეს მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საქართველოში გატარებული დღეები დიდხანს დაახსომდეთ ნორჩ სპორტსმენებს.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ ასპარეზობა გაიმართება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე და ჩვენი სპორტის ნამდვილი დღესასწაული — რეზერვების დათვალიერება გახდება.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ (საქინფორმი).




### სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი ლევან ქავჟარაძე ბათუმიდან გვატყობინებს:

# შეჯიბრება ზეიმად იქცა

**დიდი** ხანია ბათუმში საინტერესო შეჯიბრება არ ჩატარებულა. ალბათ, ამიტომ იყო ქალაქის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის დარბაზმა ასპარეზობის ხილვის ყველა მსურველი რომ ვერ დაიტია.

16 ივლისს, შეჯიბრების პირველ დღეს, ჩვენი ტანმოვარჯიშეები მეორე ცვლაში გამოდიოდნენ და საშუალება ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ მეტოქეთა გამოსვლებისთვის. გუნდურ შეჯიბრებაში პირველ დღეს ნაჩვენები შედეგებით საქართველოს ნაკრების მწვრთნელები უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ. იგივე ითქმის პირად პირველობაზეც. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა რსფსრ-ს განათლების სამინისტროს კოლექტივი — 276 ქულა. შემდეგ მოდიან პროფკავშირების მეორე გუნდი — 275,85 ქულა, „დინამო" — 273,35, საქართველოს ნაკრები მეექვსე ადგილზეა — 270,65.

პირად შეჯიბრებაში მრავალჭიდში (ოსტატთა პროგრამით) დაწინაურდა ალექსეი დემიანოვი (რსფსრ) — 56,35 ქულა, მეორეა დიმიტრი ტრუში („დინამო") — 55,95, მესამე — ანდრეი ევსიკოვი (პროფკავშირები-II) — 55,05 ქულა. ჩვენი გუნდიდან ყველაზე უკეთესად ასპარეზობს ვალერი ოგანეზოვი. მას VI შედეგი აქვს — 54,35 ქულა. მისი თანაგუნდელი გიორგი კოსტანიანი პირველთანრიგოსანთა შორის 54,35 ქულით ჯერჯერობით XI ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ტაიჭზე მოასპარეზე 60 ბიჭიდან დღის საუკეთესო შედეგი თბილისელ ნიკა ბარამიძეს ჰქონდა — 9,7 ქულა.

**გოგონები.** გუნდური შეჯიბრება: 1. საბჭოთა არმია — 201,36 ქულა, 2. პროფკავშირები-II — 199,12, 3. „დინამო"—198,54. საქართველოს ნაკრები პირველი დღის შედეგებით უკანასკნელ ადგილზეა — 188,95. პირადი. 1. სვეტლანა ივანოვა (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 39,85 ქულა, 2. ლიუდმილა ტოვბჩატაია (საბჭოთა არმია) — 38,8, 3. სვეტლანა კოზლოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 38,3... 19. ნაირა სააკიანი, 20. სტელა დავიდოვა (ორივე — საქართველო).

სპორტის ოსტატობის პროგრამით: 1. ირინა ავტენიევა (საბჭოთა არმია), 2. ვიქტორია ტკაჩოვა (პროფკავშირები-II), 3. ნატალია უშმანოვა (პროფკავშირები-I)... 13. ქეთინო ონიკაური (საქართველო).

პირველთანრიგოსანთა პროგრამით: 1. სვეტლანა გლასკაია („დი-

იხ. მე-3 გვ.

## გურიელი ლიდერთა ჯგუფშია

**ბარნაულში** დაიწყო სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი (სულ 4 ასეთი შეჯიბრება ტარდება, თითოეულიდან 3 გამარჯვებული უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებს). წილისყრის შედეგად მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: 1. ნინო გურიელი, 2. სადიროვა, 3. ირინა უმანსკაია, 4. ტატიანა ზატულოვსკაია, 5. ფირუზა ველიხანლი, 6. ფლორა უსკოვა, 7. ტატიანა სტეპოვაია, 8. ანდა შაფრანსკა, 9. ლეილი პიარნპუუ, 10. იულია დიომინა, 11. საფარიანი, 12. საფალარლიევა, 13. ერნესტე, 14. სტრუჩკოვა.

დღეისთვის 4 ტურის შეხვედრებია გამართული. გთავაზობთ მათ შედეგებს:

**I ტური:** გურიელი-სტრუჩკოვა — 1:0, სადიროვა-ერნესტე — 0:1, უმანსკაია-საფალარლიევა — 1:0, ზატულოვსკაია-საფარიანი — 1:0, ველიხანლი-დიომინა — 1:0, უსკოვა-პიარნპუუ — 0,5:0,5, სტეპოვაია-შაფრანსკა — 1:0.

**II ტური:** გურიელი-სადიროვა — 1:0, ერნესტე-უმანსკაია—0,5:0,5, ზატულოვსკაია-საფალარლიევა — 0,5:0,5, ველიხანლი-საფარიანი — 1:0, უსკოვა-დიომინა — 1:0, პიარნპუუ-სტეპოვაია — 0:1, სტრუჩკოვა-შაფრანსკა — 0,5:0,5.

**III ტური:** უმანსკაია-გურიელი— 1:0, სადიროვა-სტრუჩკოვა — 0:1, ზატულოვსკაია-ერნესტე — 0,5:0,5, ველიხანლი-საფალარლიევა — 1:0, უსკოვა-საფარიანი — 1:0, სტეპოვაია-დიომინა — 0:1; შაფრანსკა-პიარნპუუს შეხვედრა გადაიდო.

**IV ტური:** გურიელი-ზატულოვსკაია — 1:0, სადიროვა-უმანსკაია— 0,5:0,5, ერნესტე-ველიხანლი — 0:1, საფალარლიევა-უსკოვა — 1:0, საფარიანი-სტეპოვაია — 1:0, დიომინა-შაფრანსკა — 0:1, სტრუჩკოვა-პიარნპუუ — 0,5:0,5.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ფირუზა ველიხანლი — 4 ქულა, ნინო გურიელი, ირინა უმანსკაია — 3-3, ფლორა უსკოვა— 2,5.

### სსრ კავშირის სპორტსახკომმა უფლება მისცა

1987 წლის 23 და 25 ივნისს გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებული წერილების „თავაშვებულნი" და „რეისი 152 უხმობს მილიციას.." განხილვის შედეგებზე ადრე ვიუწყებოდით. 16 ივნისს „სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნა საკავშირო სპორტსახკომის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე „საქართველოს სსრ სპორტსახკომს უფლება მიეცა რეგბიში სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადოს თბილისის „ელმავალი".



# და კიდევ გამარჯვება

**თბილისში შეხვედრებს აგრძელებენ ამერიკელი ჭაბუკი კალათბურთელები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ინტურისტის თბილისის გაერთიანებამ მოიწვია.**

**მეორე** მატჩში ამერიკელი კალათბურთელების მეტოქე იყო საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები. ამ შეხვედრისადმი ინტერესი ორმა ფაქტორმა განაპირობა: ჯერ ერთი, ქართველი კალათბურთელები მეტოქეებზე 3-4 წლით უმცროსი იყვნენ და, რაც მთავარია, ჩვენი გუნდი

იხ. მე-3 გვ.

**რომი.** იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა 17 წლის კუიბიშეველმა ევგენი ანაშკინმა — უძლიერესი იყო გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 3000 მეტრზე. ფინალში მან ჰოლანდიელი მარსელ ნოიმერი დაამარცხა — 3.31,89. ამავე სახეობაში ქალთა შორის (2000 მეტრზე) ჩემპიონი აშშ-ს წარმომადგენელი ჯეინ აისკოფი გახდა — 2.31,51.

**ბონი.** გფრ-ის მრავალდღიანი ველორბოლის მე-10 ეტაპი ავსტრიელმა ჰელმუტ ლინარტმა მოიგო. 150 კილომეტრი მან 3:58.13,0-ში დაფარა. მომდევნო ადგილებზე ოლაფ ლუდვიგი (გდრ) და ჯომოლოდინ აბდუჟაპაროვი (სსრ კავშირი) გავიდნენ. საერთო ლიდერობას კვლავინდებურად გდრ-ის წარმომადგენელი მარიო კუმერი ინარჩუნებს.

**პარიზი.** ქალთა ველორბოლის „ტურ დე ფრანსის" მეექვსე ეტაპი კუიბიშეველმა თამარა პოლიაკოვამ მოიგო. 34 კილომეტრი მან 45.45,0-ში დაფარა. მსოფლიო ჩემპიონი ფრანგი ჟანი ლონგო გამარჯვებულს 52 წამით ჩამორჩა, მაგრამ ყველა ეტაპის ჯამში ლიდერობას იგი მაინც ინარჩუნებს.

**შუმენი** (ბულგარეთი). საპლანერო სპორტში მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატის ოქროს მედალი ბობრუისკელმა ირინა ბარკოვსკაიამ მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო 15-მეტრიანი პლანერების შეჯიბრებაში, ბრინჯაოს მედალი ამ კლასში წილად ხვდა კიეველ ვალენტინა ტოპოროვას.

**პარიზი.** მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირში მაროკოელმა საიდ აუიტამ 2000 მეტრი 4.50,81-ში გაირბინა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. ძველი მიღწევა (4.51,39) ეკუთვნოდა ინგლისელ სტივ კრემს და ორი წლის წინ იყო დამყარებული.

### ტელეტაიპი - მკითხველი

**ტოკიო.** კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ჯონსის თასზე მსოფლიოს ჩემპიონმა აშშ-ს ნაკრებმა მოიგო. ფინალში მან სამხრეთ კორეის გუნდი დაამარცხა— 74:73. ამერიკელებმა შვიდიდან შვიდი შეხვედრა მოიგეს, სამხრეთ კორეელებს კი ერთით ნაკლები გამარჯვება აქვთ.

**შტუტგარტი.** წყალბურთელთა 8 ნაკრები გუნდის საერთაშორისო ტურნირში ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც უკვე 4 შეხვედრა მოიგეს. გუშინწინ მათ ავსტრალიის წყალბურთელები დაამარცხეს — 15:9. ოთხი გამარჯვება აქვთ გფრ-ის წარმომადგენლებსაც.

# „შრომითი რეზერვები“: გუშინ, დღეს, ხვალ...

● „შრომითი რეზერვები“ 47 წლისაა.

● საკავშირო ნაკრების ერთი წევრიდან 24 წევრამდე.

● №№ 5, 31 და 36 პროფტექნიკური სასწავლებლები მოწინავენი არიან სწავლაში და სპორტშიც.

● პროფტექსასწავლებლებში განსაკუთრებით პოპულარულია აკრობატიკა, ჭიდაობა, კრივი, მშვილდოსნობა, ფეხბურთი...

ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებამ სახელწოდება „შრომითი რეზერვები“ სახელმწიფო სისტემიდან მიიღო მემკვიდრეობით. ეს სისტემა, რომელიც 1940 წლის შემოდგომაზე შეიქმნა, ქვეყნის საქარხნო-საფაბრიკო სკოლებს აერთიანებდა.

დიდმა სამამულო ომმა დაამტკიცა ამ სისტემის შექმნის დროულობა და აუცილებლობა. ომში გაწვეული მილიონობით მუშისა და კოლმეურნის ადგილი 13-15 წლის ბავშვებმა დაიკავეს (ჩარხებს რომ ვერ წვდებოდნენ, ყუთებზე დგებოდნენ).

თითქოს იმ დროს ზედმეტი იყო ფიზკულტურასა და სპორტში მათ ჩაბმაზე ლაპარაკი, მაგრამ 1943 წელს იქმნება ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვები“.

დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზკულტურის გაკვეთილი, საწარმოო ტანვარჯიში, ან სასწავლებლის თუ ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში შრომისაგან დაღლილ მოზარდთა საღამო ჟამს ჭინჭის ბურთით თამაში. ეს იყო მაშინდელი ფიზკულტურა და სპორტი.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, სახალხო მეურნეობის აღდგენასა და გაძლიერებასთან ერთად განვითარდა შრომითი რეზერვების სახელმწიფო სისტემაც, რომელსაც შემდეგ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა ეწოდა, მის საზოგადოებას კი შერჩა ძველი, შეჩვეული და ტკბილადმოსაგონარი, სახელი „შრომითი რეზერვები“.

სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო ამ 8-10 წლის წინათ, როდესაც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა საშუალო განათლებაზე გადავიდა. შესაძლებელი გახდა არა მარტო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის კომპლექსური პროგრამის შემუშავება და განხორციელება, არამედ დაიწყო ჯერ მასობრივი, შემდეგ კი ე. წ. დიდი სპორტის განვითარება. „შრომით რეზერვებში“ გამოჩნდნენ მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები.

მაგრამ ჩვენი სპორტული საზოგადოება პირველ რიგში მაინც ფიზკულტურულ ორგანიზაციად დარჩა, რადგან მისი ძირითადი ამოცანაა სახალხო მეურნეობისათვის ფიზიკურად სრულყოფილი, ჯანსაღი, შრომისა და სამშობლოს თავდაცვისათვის მზადმყოფი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშის მომზადება.

დღევანდელი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებაა. ამიტომ არ შეიძლებოდა მას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია არ შეხებოდა. იგი ხომ კვალიფიციურ სპეციალისტს უმზადებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას. ჩნდება ახალი პროფესიები, ხმარებაში დამკვიდრდა სიტყვები „რობოტი“ და „კომპიუტერი“. ამ მანქანების ოპერატორები სწორედ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში იზრდებიან.

ცვლილებებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ამ სისტემის სპორტულ საქმიანობაზეც. შეიქმნა ფიზიკური აღზრდის ახალი კომპლექსური პროგრამა, რომელიც მოიცავს სასწავლებლებში მოსწავლეთა სწავლის მთელ პერიოდს, მათთან ყოველდღიური მუშაობის მთელ ციკლს. გადაწყდა, კვირაში 9-10 საათამდე გაეზარდათ მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტული დატვირთვა. ამგვარი დატვირთვა — შეხამებული საწარმოო სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკურ შრომასთან — იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენს სასწავლებლებში ჯანმრთელი ახალგაზრდები აღიზრდებიან.

მაგრამ ფიზიკური დატვირთვის ზომა როდია მთავარი. დღეს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, დაინერგოს მოსწავლეებთან მუშაობის ისეთი ფორმა, როგორიცაა პროფესიულ-გამოყენებითი ფიზკულტურა. ეს ფორმა ყველასათვის საჭიროა, მაგრამ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის — აუცილებელი. მხოლოდ პროფესიულ-გამოყენებითი ფიზკულტურის საშუალებით შეიძლება ავიცილოთ თავიდან ის გადახრები ადამიანის ორგანიზმში, რასაც მათი საქმიანობა იწვევს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი სისტემის სასწავლებლებში ასობით პროფესია ისწავლება (მათი რიცხვი კი ათიათასამდეა), ნათელი გახდება იმ სამუშაოთა მასშტაბები, რაც ჩვენ უნდა შევასრულოთ. გარკვეული გამოცდილება აქვთ თბილისის № 5 (დირექტორი ნუგზარ გუბელაძე) და № 36 სასწავლებლების ფიზაღზრდის ხელმძღვანელებს გურამ გოძიშვილსა და ელიზავეტა აზიზოვას. მათ თავად შეიმუშავეს ვარჯიშთა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არასასურველი გადახრების თავიდან აცილებას მოსწავლეთა ორგანიზმში. ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაკაჟებას.

რახან თბილისის № 36 სასწავლებელზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება არ ითქვას იმ სიახლეებზე, რაც სასწავლებელში მისი დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ეთერ სოლომონიას ინიციატივით დაინერგა. აქ სულ 16 სპორტული სექციაა. მათგან რვა სექციას ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, რომელთა შრომის ანაზღაურება სასწავლებლის საწარმოო საქმიანობის შემოსავლის ხარჯზე ხდება. საინტერესოა, რომ ამ სექციებში სისტემატურად ვარჯიშობენ ახლომდებარე საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები — სულ 120-130-მდე მოზარდი. მათი უმრავლესობა რვა და ათი კლასის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, სწავლას აგრძელებს ამავე სასწავლებელში. ერთი სიტყვით, ფიზკულტურისა და სპორტის მეშვეობით კეთდება კიდევ ერთი სასიკეთო საქმე — ახალგაზრდები იძენენ პროფესიას.

იზრდება იმ სასწავლებელთა რიცხვი, რომლებშიც შექმნილია სპორტული პროფილის მქონე ჯგუფები. თბილისის № 31 სასწავლებელში (დირექტორი სიმონ ლომსაძე) ასეთ ჯგუფებში ყოველწლიურად მოსწავლეთა კონტიგენტის დიდი ნაწილი მიიღება. სამიოდე წლის წინათ ამ სასწავლებელში შეიქმნა ჭიდაობის კლასიკური სახეობების სპორტული პროფილის მქონე სკოლა-ინტერნატი. აქ აღზრდილმა ახალგაზრდა ნიჭიერმა ფალავნებმა მამუკა ბაბლოვანმა და ნაიბი დვალაშემ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი.

სასწავლებლების ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ყოველწლიური სპარტაკიადები: სასკოლო, ზონალური და რესპუბლიკური. პირველ ეტაპზე, ფაქტიურად ყველა ჯგუფი გამოდის, საერთო კონტიგენტის 80 პროცენტზე მეტი.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ „შრომით რეზერვებში“ დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ჭიდაობა, კრივი, აკრობატიკა. მშვილდოსნობა, ტანვარჯიში, ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი. თუ ადრე ჩვენი სისტემის საკავშირო სპარტაკიადებზე XII-XIV ადგილებზე გავდიოდით, ბოლო ორ სპარტაკიადაზე IV-V ადგილები დავიკავეთ, გავუსწარით ისეთ ძლიერ ნაკრებ გუნდებს, როგორიცაა ბელორუსიის, ყაზახეთის, ლენინგრადის და სხვა კოლექტივები, დასახული გეგმები ყველა მაჩვენებელში გადაჭარბებით შევასრულეთ. ამჟამად რესპუბლიკაში „შრომითი რეზერვების“ სექციებში ვარჯიშობს 2463 სპორტსმენი, ქვეყნის ნაკრები გუნდების კანდიდატია 24 (ამ სამი ათეული წლის წინ კი ნაკრებში მხოლოდ ერთი წევრი — მოჭიდავე მირიან ცალქალამანიძე გვყავდა), ცენტრალური საბჭოს ნაკრებში 86, საქართველოს ნაკრებში კი 147 სპორტსმენია. აი, ისინიც, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები: აკრობატები ფატი სულაქველიძე და გია მარმარაშვილი, მოკრივეები ალბერტ კაზანჯიანი, ხვიჩა ხდრიანი, ნიკოლოზ სეთური, იური სავოჩკინი, მოჭიდავეები ლერი ხაბელოვი, თეიმურაზ ყაზარაშვილი, ლევან ებანოიძე, მამუკა რაზმაძე და სხვები.

მესამე წელიწადია მიმდინარეობს პროფტექგანათლების სასწავლო დაწესებულებათა რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში. საქმე ისაა, რომ იგი სამ ეტაპად ტარდება: სასკოლო, ზონალური და რესპუბლიკური. ამ შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე. გადაწყდა, ყოველ სასწავლო ჯგუფში, სადაც ჭაბუკები სწავლობენ, შეიქმნას ფეხბურთის გუნდი.

წლევანდელი საიუბილეო წელი ძალზე დატვირთული იყო სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვებისთვის“: გაიმართა პროფტექგანათლების მოსწავლეთა XXXVII რესპუბლიკური სპარტაკიადა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პროფტექგანათლების მოსწავლეთა I სპარტაკიადა, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება. მალე დაიწყება პროფტექგანათლების მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადის ფინალი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი სპორტსმენები. სტარტზე რესპუბლიკის 170-მდე სპორტსმენი გამოვა.

ერთი სიტყვით, „შრომითი რეზერვები“ სპორტსმენთა სახელოვან ცვლას გვიმზადებს.

**ვახტანგ ბალავაძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მ. ადგილე.**

---

რეპლიკა

# შეიძინეს და... მიივიწყეს

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის აქტიური დასვენების ორგანიზაციას თავისი მატერიალური ბაზა ესაჭიროება. სპორტული ინდუსტრია დღეს ერთ-ერთი წამყვანი დარგია მთელს მსოფლიოში და ამაში გასაკვირი არაფერია. საერთო ტემპს არც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება, მაგრამ, რა დასამალია, არის პროდუქცია, რომლის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ გვაკმაყოფილებს, ზოგიერთი რამ კი ჩვენთან საერთოდ არ მზადდება და იძულებული ვართ უცხოეთში შევისყიდოთ. ზოგჯერ ხელსაყრელ შესაძლებლობასაც არ ვუშვებთ ხელიდან და სხვადასხვა გამოფენის შემდეგაც ვიძენთ საჭირო ნაწარმს.

1985 წელს თბილისში უნგრული პროდუქციის გამოფენა მოეწყო. მასპინძლებს თვალში მოუვიდათ კეგელ-ბანი. მით უფრო, იგი თითქმის უცხო იყო ჩვენთვის. შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებით შესაძენად ვალუტაც გამოიყო. ერთი სიტყვით, კეგელბანის ორი ბილიკი შევიძინეთ. უკვე შერჩეული იყო მისი დადგმის ადგილიც — თბილისის გამარჯვების პარკი. მაგრამ, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ინვენტარი ჯერ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მომარაგება-გასაღების საწყობში მიიტანა. ვიმეორებთ, ეს მოხდა 1985 წელს. როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის (ეს დამკვეთი ორგანიზაცია) დირექტორის მოადგილემ შოთა სოხაძემ გვითხრა, ქალაქის კულტურის სამმართველო სამუშაოთა შესრულებაზე მოლაპარაკებას კულტურის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოსთან აწარმოებდა, მაგრამ რაკი იქ ხელმძღვანელობა შეიცვალა, საკითხი ღიად დარჩა, მერე ეს ამბავი ყველამ მიივიწყა. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გახდა ცნობილი, რომ ძვირადღირებული და მეტად საჭირო ინვენტარი ორ წელიწადს უძრავად ეგდო და აწყვია საწყობში და არც მის გამოყენებაზე ფიქრობს ვინმე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულგრილობის ფაქტი გამომჟღავნდა, სასწრაფო ზომებს მიმართეს. ახლა შედგენილია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ფიქრობდნენ სამუშაოს „ინჟმშენი“ ჩაატარებდა, მაგრამ შეთანხმება კიდევ არ არის მიღწეული.

გვინდა ვიკითხოთ, კიდევ რამდენი დროა საჭირო, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყდეს და კეგელბანი თბილისელებსაც ეღირსოთ? ველით პასუხს.

---

„ლელოს“ კონტროლზეა

# დრო აღარ ითმენს!

ამგვარი გამაფრთხილებელი ფრაზა არა ერთხელ გაისმა მშენებელთა შტაბის მორიგ სხდომაზე, თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზის კაპიტალური რემონტის მიმდინარეობის შესახებ მსჯელობისას. შტაბის სხდომები კი, სამუშაოთა დასაჩქარებლად, ყოველი კვირის სამშაბათს იმართება.

როგორც ვიუწყებოდით, კაპიტალური რემონტი წლის დამლევს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მშენებლებმა გადაწყვიტეს საცურაო აუზი სექტემბერ-ოქტომბერში გადასცენ საექსპლოატაციოდ.

ახლა როგორი მდგომარეობაა ამ ობიექტზე? ხიტყვას ხომ არ გატეხენ მშენებლები? ეს კითხვები დასვა შტაბის სხდომაზე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ლევან ბურძენიშვილმა. პასუხი დამაიმედებელი იყო. ითქვა, რომ სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და ასევე გაგრძელდება, თუ სამშენებლო მასალის მიწოდება არ შეფერხდება.

რა გაკეთდა ამ ერთი თვის მანძილზე, მას შემდეგ, რაც „ლელოს“ მკითხველებს საქმის ვითარება გავაცანით?

დღეისათვის პრაქტიკულად დამთავრებულია საჭყუმპალაოს და წყალში სახტომი აუზების მოპირკეთება. 50-მეტრიანი აუზიც, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზეა. აუზისაკენ მიმავალი დერეფნის პორტალის მოზაიკური გაფორმება და ტრიბუნების რკინის კონსტრუქციების დამონტაჟება ნახევრად დამთავრებულია.

გაფართოვდა ადმინისტრაციული კორპუსი და ახლა მიმდინარეობს შენობის გადახურვა, სხვადასხვა კომუნიკაციების მონტაჟი, შელესვა.

ერთი სიტყვით, აქ „პატარ-პატარა“ სამუშაოები დარჩა შესასრულებელი, რაც ერთად აღებული საკმაოდ შრომატევადი ჩანს, სექტემბერ-ოქტომბერი კი შორს აღარაა.

დიახ, დრო აღარ ითმენს, მაგრამ იმედია, მშენებლები სიტყვას არ გატეხენ.

---

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

## „გაბნეული... შეკრება“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი ბორჯომში მოფარიკავეთა არაორგანიზებულად ჩატარებული სასწავლო-საწვრთნელი შეკრების შესახებ. გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა საქართველოს სპორტსახკომი და პასუხიც მეორე დღესვე მივიღეთ.

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სპორტსახკომი

ფარიკაობაში სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ორგანიზაციაში გამოვლენილი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობისთვის, იმისათვის, რომ ხელმიშვებული იყო წესრიგი და დისციპლინა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების № ... სპორტული სკოლის დირექტორს ... ჭუბაბრიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ახლა პასუხს თვით სკოლის ხელმძღვანელებისაგან ველით.

---

ფიზკულტურა — სოფლად!

# თაობათა შეხვედრა

დმანისის რაიონის, სოფელ განთიადში საინტერესო სპორტული ტრადიცია დამკვიდრდა — თაობათა შეხვედრა.

ამ სოფელში ოთხი ათეული წლის წინ გაკეთდა ფეხბურთის მოედანი. ამ ხნის განმავლობაში აქაურმა ახალგაზრდებმა და მშრომელებმა დიდი ფიზიკური წრთობა მიიღეს (აქ აღზრდილი სპორტსმენები სხვადასხვა წლებში საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ). ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ფიზკულტურის მუშაკს გაიოზ დევნოზაშვილს, სწორედ მისი ინიციატივით იკრიბებიან აქ ყოველ ზაფხულს სოფლის ვეტერანი ფიზკულტურელები, ეწყობა სპორტული შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის ქართულ ხალხურ თამაშებში.

ახლახან სოფელში გაიმართა დიდი სპორტული ზეიმი. პროგრამაში იყო სიმძიმეების აწევა და ფეხბურთი. წარსულში საქართველოს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ვაჟა ციხელაშვილმა (ამჟამად რკინიგზის მაღაზია „ელექტრონიკის“ დირექტორის მოადგილე) მაყურებელი მოხიბლა ორფუთიანი გირებით „ჟონგლიორობით“.

დასასრულს გაიმართა საფეხბურთო მატჩი. სარბიელზე გამოვიდნენ სხვადასხვა თაობის ადამიანები (30-40 და 40-50 წლამდე ასაკის). დაძაბული და მეტად საინტერესო ბრძოლა ფრედ დამთავრდა. დამატებით ტაიმში გადამწყვეტი გოლი უფროსი ასაკის ფეხბურთელებმა გაიტანეს — 4:3.

ასპარეზობა იმითაც იყო საინტერესო, რომ სიყრმის მეგობრები, კლასელები, თანასოფლელები შეახვედრა ერთმანეთს.

**„ლელოს“ კორ.**



გ. დევნოზაშვილის ფოტო.

---

# უკაცრავად, შეგახსენებთ!

23 მაისს „ლელოში“ საკითხის დასმის წესით დაიბეჭდა თბილისის ... ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის, დოცენტ ზურაბ ჩაჩუას წერილი „უპირველესად — ღირსება!“ წერილის გამოქვეყნებიდან თითქმის ორი თვე გავიდა. ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით ავტორს?

პასუხს ამ კითხვაზე თბილისის სპორტკომიტეტიდან და ჭადრაკის საქალაქო ფედერაციიდან ველით.

# ღირსეული გულშემატკივარი გვერდში უდგას „დინამოს"!

**ჩვენმა** გაზეთმა წლეულს არაერთხელ აღნიშნა, რომ ფეხბურთის მოყვარულები, მთელი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა დიდად განიცდის თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს, შეშფოთებით ადევნებს თვალს თავისი საყვარელი გუნდის მეტად სუსტ, ზოგიერთ შემთხვევაში ერთობ დაბალი კვალიფიკაციის, უსუსურ თამაშს მიმდინარე სეზონში.

რით შეუძლია გულშემატკივარს გამოხატოს თავისი დამოკიდებულება თბილისის „დინამოს" ეხოდენ უმწეო თამაშის მიმართ? განდგომით და ბოიკოტით? სიძნელეებისა და გაჭირვების დროს გუნდის თამაშებზე არდასწრებით, თბილისის „დინამოს" გარშემო რალაც ვაკუუმის შექმნით? მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არაა! გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს, გნებავთ, დაძაბუნებულ კოლექტივს, თუკი მისი ბედ-იღბალი გაწუხებს და გაინტერესებს, გვერდში უნდა ამოუდგე, ხელი შეუწყო მას, გაამხნევო, გამოაფხიზლო, გააჯანსაღო. თუ კი არის ვინმე, ვინც რაიმე მიზეზით ხელს უშლის კოლექტივის ფეხზე წამოდგომას, იგი დაუყოვნებლივ უნდა მოიკვეთოს, დანარჩენთა გარშემო კი ისეთი ატმოსფერო უნდა შევქმნათ, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა თავის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინოს და შეძლოს შეუძლებელიც კი.

„ლელოს" რედაქციაში მკითხველთა უამრავი წერილი მოდის. ყოველ დღე ახეულობით კონვერტს ვხსნით, თბილისის „დინამოს" ოპონენტთა შორის არიან გულშემატკივრები, რომელთა პროფესიისა და საქმიანობის ჩამოთვლა შეუძლებელიცაა: ომის ვეტერანები, შრომის ვეტერანები, მოსწავლეები, პროფესორები, სტუდენტები, ქალები, მოხუცები, მასწავლებლები, ექიმები, კოლმეურნეები... წერილები მათგანაც მოდის, ვისაც თბილისის „დინამოს" თამაში არც ერთხელ არ უნახავს, მაგრამ თავის გულისწყრომას „დაუსწრებლად" გამოხატავს შექმნილი არანორმალური მდგომარეობის შესაბამისად.

კვლავ და კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამ წერილების ავტორთა ძალზე მცირე რაოდენობა ხელაღებით, კატეგორიულად უარყოფს ყველაფერს, რაც კი დღეს თბილისის „დინამოშია", გადაჭრით მოითხოვს გუნდის ხელმძღვანელობის გადაყენებას, უკლებლივ ყველა მოთამაშის გაძევებას, მთელი ჩვენი საფეხბურთო საქმეების ხელახლა, თავიდან დაწყებას.

— რად გვინდაო ახეთი გუნდი, — გვეჩიჩინებიან ბევრნი, — მან შებღალა ქართული ფეხბურთის უძველესი ტრადიციები, თავიც შეირცხვინა, ჩვენც შეგვარცხვინა, ამათგან კარგს არაფერს უნდა მოელოდე, ჯობს მოვიწვიოთ სრულიად ახალგაზრდები, გადმოვიყვანოთ სხვა გუნდებიდან გამოცდილი ფეხბურთელები და ახე ვუშველოთ საქმეს.

იოლი სათქმელია! ახეთი მსჯელობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც არაფერი ეკითხება, ვისაც უშუალოდ არ ეხება ქართული ფეხბურთის ეხოდენ ძნელი პრობლემები, ზის შინ ტელევიზორთან ჩრდილს მოფარებული და აბსურდულ პროექტებს კარნახობს. საერთოდ, გასაოცარია, საიდან აქვთ ჩვენს ადამიანებს ახეთი მახვრელი იდეები: „მოვხსნათ", „გავაგდოთ", „გავანადგუროთ", „გავაცამტვეროთ", „მოვსპოთ". შეიძლება, საერთოდ არც ღირდა ახეთებზე ლაპარაკი, მაგრამ, ფაქტია, ისინი რეალურად არსებობენ ჩვენს საზოგადოებრიობაში და ამგვარ დესპოტურ სავგზეკუციო ზომებს გვთავაზობენ.

სალი კრიტიკა ახლა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ კრიტიკა სხვაა, კრიტიკანობა კი — სულ სხვა. კრიტიკანობა დამღუპველია სიძნელეთა დაძლევის დროს. თბილისის „დინამოს" მთელმა კოლექტივმა სრული სიღრმით, სრული სიგრძესიგანით უნდა შეიგრძნოს, რომ იგი საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის უპირველესი წარმომადგენელია, რომ იგი თავისი ერის ღვიძლი შვილია და გულშემატკივრები მის დახჯას და გაროზგვას კი არ ლამობენ, არამედ სურთ ისე ამოუდგნენ ფეხბურთელებს გვერდით, რომ გაამხნევონ, მოამძლავრონ, განამტკიცონ მის რიგებში ერთიანობა, მონოლითურობა, მძლედ გადაატანინონ გაჭირვების ჟამი და მტკიცედ დააყენონ ორივე ფეხზე.

სულ ახლახან თბილისის „დინამო" ბოლო ადგილზე იყო სსრ კავშირის საიუბილეო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში. დინამოელთა მიმართ მრავალი სასაყვედურო ითქვა, ახლა გუნდმა ოდნავ წინ წაიწია, მოსცილდა იმ ავადსახსენებელ ბოლო ადგილს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქმე გამოსწორდა. არავითარ შემთხვევაში! საქმე არ გამოსწორებულა, იგი ჯერ მხოლოდ სწორდება და არც ერთი ჩვენგანი, არც ერთი ნამდვილი გულშემატკივარი საკუთარ თავს უფლებას არ მისცემს მოიწონოს დინამოელთა თამაში, სანამ იგი კიდევ უფრო წინ არ წავა და არ მიაღწევს მისთვის ჩვეულ ტრადიციულ პოზიციას.

აი, ამის შესახებ გვწერენ ფეხბურთის მოყვარულები, ისინი, ვინც გულით განიცდიან ამჟამად შექმნილ მძიმე მდგომარეობას და მთელი არსებით სურთ საქმის გამოსწორება, ასეთები კი აბსოლუტური უმრავლესობაა.

თბილისის „დინამოს" ფოსტამ განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, რაც ჩვენს ფეხბურთელთა კოლექტივთან გულშემატკივართა შეხვედრა მოეწყო სტადიონზე. იქ გაიმართა ფრიად უსიამოვნო, მაგრამ პრინციპული და სასარგებლო საუბარი, ყველაფერი ეს არგებს ჩვენს საერთო საქმეს, მობილიზაციას უკეთებს დინამოელებს შემდგომი ბრძოლისთვის, წინ კი სსრ კავშირის ჩემპიონატის, საკავშირო თასის, ევროპის საკლუბო ტურნირის უძნელესი მატჩებია და ნურც ერთი დინამოელი ნუ იფიქრებს, რომ მას დანდობა ექნება, თუკი იგი მთელი თავისი შესაძლებლობით არ იბრძოლებს რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟის დასაცავად.

ჩვენს მკითხველებსაც სწორედ ეს სურვილი ამოძრავებთ. მათ წერილებს სისტემატურად გავაცნობთ თბილისის „დინამოს" მწვრთნელებს, ხელმძღვანელებს, თითოეულ ფეხბურთელს, გულშემატკივრებიც და სპეციალისტებიც შექმნიან ისეთ ატმოსფეროს, რომ საქართველოს უპირველეს გუნდს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანსწრაფვა ამოძრავებდეს: გამარჯვება, პროგრესი, წინსვლა!

## დაინიშნება თუ არა გადათამაშება?

**მსაჯთა** უხეში შეცდომებისთვის არც ფეხბურთელები და არც მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები არ უნდა დაისაჯონ. საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკსა" და „დნეპრს" შორის ომსკელმა არბიტრმა ვ. კუზნეცოვმა მიუტევებლად სუსტად ჩაატარა. მატჩის ვიდეოჩანაწერის დეტალურმა შესწავლამ ცხადყო, რომ „დნეპრის" კარის აღება მან არასწორად დააფიქსირა და, ამავე დროს, დნეპროპეტროვსკელთა მხარეს უმართებულო პენალტი დანიშნა. გაკვირვებას იწვევს ფეხბურთის სამმართველოს იმ მუშაკთა საქციელი, რომლებიც კალენდარული მატჩების არბიტრებს ნიშნავენ. განა შეიძლებოდა ლიდერთა შეხვედრაზე იმ მსაჯის დანიშვნა, რომელმაც არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა „ზენიტისა" და ცსკა-ს ორთაბრძოლა და ამის გამო დისკვალიფიცირებული იყო?

როდესაც მეორე დღეს ტელეეკრანზე ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი ნახეს, „სპარტაკის" ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეხვედრა უნდა გადათამაშდეს. მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ ცუდი მსაჯობა „დნეპრის" მოთამაშეს ვ. ტიშჩენკოს არ აძლევდა წესრიგის დარღვევის უფლებას, რისთვისაც იგი სამართლიანად გააძევეს მოედნიდან.

— ამ შეხვედრამ, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში „სპარტაკის" გუნდის უფროსმა ნ. სტაროსტინმა, — ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მეორე დღეს „სპარტაკის" კლუბში ზარის წკრიალი არ შეწყვეტილა. გვირეკავდნენ აღშფოთებული გულშემატკივრები. ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მსაჯმა ამ შეხვედრაში დაკარგა კონტროლის უნარი და ბევრი შეცდომა დაუშვა. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ და მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ ერთობლივ სხდომაზე განიხილონ საკითხი ამ მატჩის გადათამაშების შესახებ.

## დანაშაული და სასჯელი

**16 ივლისს** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის და მსაჯთა საკავშირო კოლეგიის ერთობლივი სხდომა, რომელმაც განიხილა ჩემპიონატის მატჩებში მსაჯთა არაერთგზის შეცდომების საკითხი. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება „სპარტაკისა" და „დნეპრის" საბედისწერო შეხვედრაზე, მატჩის მთავარი არბიტრი ვ. კუზნეცოვი, რომლის უხეშმა შეცდომებმა გავლენა იქონია შედეგზე და გვერდითი მსაჯი ვ. სმაგინი გადაყენებული არიან საკავშირო ჩემპიონატის ყველა ლიგის მატჩების მსაჯობისაგან, ამ შეხვედრასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები ჯერჯერობით გადაუწყვეტი დარჩა. მათ 23 ივლისს განიხილავენ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი „სპარტაკისა" და „დნეპრის" წარმომადგენლებთან ერთად.

ბევრი საყვედური გამოითქვა „მეტალისტისა" და მოსკოვის „დინამოს" მეორე წრის მატჩის მსაჯობაზეც, რომელშიც არბიტრმა ა. კოკაიამ ბოლო წუთებზე დინამოელთა კარში უსაფუძვლო თერთმეტმეტრიანი დანიშნა. არბიტრს აეკრძალა მსაჯობა სეზონის ბოლომდე.

„ნეფთჩისა" და „ზენიტის" შეხვედრაში დაშვებული შეცდომისათვის („ზენიტის" კარში უსამართლოდ იყო დანიშნული პენალტი) არბიტრი კ. დორონინი ერთი თვითაა გადაყენებული. მკაცრი გაფრთხილება მიიღო ი. სავჩენკომ, რომელმაც არ ჩათვალა მინსკის დინამოელთა მიერ გატანილი გოლი თბილისელთა კარში. ამავე შეხვედრაში დაშვებული შეცდომისათვის გვერდით მსაჯს ი. ვერეიკინს სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიესაჯა.

გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: რატომ არ მიიღეს ზომები არბიტრთა კორპუსის ხელმძღვანელების, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარის ვ. ზუევისა და მისი მოადგილის პ. კაზაკოვის მიმართ? მსაჯთა შეცდომებში მათაც ხომ მიუძღვით ბრალი, მით უფრო, რომ ბოლო დროს ახეთი შეცდომები მომრავლდა..

## შეჯიბრება ზეიმად იქცა

დასასრული

ნამო"), 2. ოლგა კონსტანტინოვა (საბჭოთა არმია), 3. ნატალია გონჩაროვა (დასავლეთი ზონა, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო)... 7. სოფიკო მანაგაძე,... 11. ლიანა აბდუშელიშვილი.

ასპარეზობა გრძელდება.

### ექსპრესკომენტარი

**ლიდია ივანოვა** — ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— ასპარეზობის ორგანიზატორები უმაღლეს შეფასებას იმსახურებენ. დიდებული დარბაზი გაქვთ ბათუმელებს. პირველ დღეს ნაჩვენები შედეგების მიხედვით გამოვყოფ საბჭოთა არმიის კოლექტივს, რომლის ყოველი წევრი დიდი მონდომებით იბრძვის გამარჯვებისათვის. უკრაინელი სვეტლანა ივანოვა გამოირჩევა პლასტიკურობით, დახვეწილი ოსტატობით, არტისტიზმით. ვფიქრობ, მისი სახით საბჭოთა ტანვარჯიშის სკოლას ჭეშმარიტი ვარსკვლავი შეემატება. რაც შეეხება ქართველი ტანმოვარჯიშეების გამოსვლას, მწყინს, რომ თქვენი გოგონები აქ ჯერად წარუმატებლად გამოდიან. ჩემი ნათლობა სპორტულ ასპარეზზე საქართველოში, კერძოდ ბათუმში შედგა. ამიტომ გამიხარდება თუ საქართველოს ტანმოვარჯიშეები ამ შეჯიბრებაზე თავს გამოიჩენენ.

## შეხვედრა სტუმრებთან

**პარტიის** აჭარის საოლქო კომიტეტში მიღებაზე მიიწვიეს შეჯიბრების საპატიო სტუმრები: ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები ნელი კიმი, ლიდია ივანოვა, ნიკოლოზ ანდრიანოვი, ვალერი კერდემელიდი, ბორის მაკუცი, ვლადიმერ კლიმენკო, რუსუდან სიხარულიძე, ედუარდ მიქაელიანი, აგრეთვე ტურნირის მსაჯთა კოლეგიის წევრები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვაჟა შუბლაძემ.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნათელა დუმბაძემ სტუმრებს გააცნო ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები, ილაპარაკა ოქტომბრის საიუბილეო შრომით ვახტზე, აჭარელთა სპორტულ ცხოვრებაზე, იმ პრობლემებზე, რომელთა გადასაჭრელად ახლა მთელი რესპუბლიკა იბრძვის.

სიტყვებით გამოვიდნენ ვალერი კერდემელიდი, ნელი კიმი, ნიკოლოზ ანდრიანოვი და სხვები. მათ მადლობა გადაიხადეს გულთბილი მიღებისათვის, ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის.

შეხვედრას ესწრებოდა ტურნირის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნანი გუგუნავა.

იმავე დღეს, 16 ივნისს, მოეწყო ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. ბათუმის მე-16 სკოლის ნორჩმა მოცეკვავეებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს სტუმრებს. ზეიმს ესწრებოდნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნათელა დუმბაძე, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე ახვლედიანი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

## და კიდევ გამარჯვება

დასასრული

ემზადება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის. ამიტომ ამერიკელებთან შეხვედრა, ცხადია, თავისებური გენერალური რეპეტიცია იყო.

ეს მატჩი ჩვენი გუნდისათვის სასარგებლო გამოდგა, ვინაიდან მან კარგად დაანახა მწვრთნელებს (ვაჟა ჰკუასელი, ავთანდილ ჩხიკვაძე) როგორც გუნდის ძლიერი მხარეები ისე პრობლემები, რომელსაც დარჩენილ დროში გარკვეული ყურადღება მიექცევა. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ მზადება სწორი გზითაა წარმართული და მწვრთნელებს დრო უქმად არ დაუკარგავთ. ასეთი ვარაუდის უფლებას იმდენად მატჩის შედეგი კი არ გვაძლევს, რამდენადაც თამაშის ხარისხი.

საქართველოს ნაკრები დამაჯერებლად გამოიყურებოდა პოზიციური თავდასხმის დროს, როდესაც მაქსიმალურად იყენებდა ცენტრალური თავდამსხმელის კახა შენგელიას შესაძლებლობებს. ფარქვეშ ბრძოლა ქართველმა კალათბურთელებმა მოიგეს. გამარჯვების კიდევ ერთ პირობად უნდა დავასახელოთ კახა შენგელიას ბრწყინვალე თამაში. მან თავის გუნდს 32 ქულა შესძინა და აქტიურად იბრძოდა ფარიდან ასხლეტილი ბურთების დასაუფლებლად (ჩვენი აზრით, მან ეს მატჩი გაცილებით უფრო ძლიერად ჩაატარა, ვიდრე წინა შეხვედრა).

პირველი ტაიმი საქართველოს კალათბურთელებმა მინიმალური უპირატესობით მოიგეს — 38:36, რაც გარკვეულწილად სასტარტო მღელვარების შედეგი შეიძლება იყოს. მეორე ტაიმში მათი უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. 69:60 გაიმარჯვა ჩვენმა ნაკრებმა.

**მერაბ კალანდაძე.**

**გუშინ** მესამე მატჩში საქართველოსა და ამერიკელ ჭაბუკ კალათბურთელთა შორის კვლავ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 118:86 (57:44).

## პრიზი მახარაძელებს

„ტყავის ბურთის" რესპუბლიკურ ფინალურ ტურნირში გაიმართა მოზარდი ასაკის მეოთხედფინალური მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა შედეგებს: ლანჩხუთი-მაიაკოვსკი 1:0, ცხინვალი-გურჯაანი — 1:0, თბილისი-ჭიათურა 1:2, ახმეტა-მახარაძე 1:3. ამ მატჩების შემდეგ გაირკვა ნახევარფინალისტები — ერთმანეთს შეხვდნენ ლანჩხუთი-ცხინვალი (0:2) და ჭიათურა-მახარაძე (0:2).

**გუშინ ფინალურ მატჩში მახარაძის გუნდმა ხძლია ცხინვალის გუნდს 3:2 და საპატიო პრიზს დაეუფლა. მესამე ადგილი ჭიათურელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ლანჩხუთელებს მოუგეს — 1:0.**

## მედლებს მედლები მოჰყვება

**ზაგრები.** სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის ყოველ ახალ დღეს საბჭოთა დელეგაციისათვის ახალი წარმატებები მოაქვს. შეჯიბრების მეშვიდე დღეს ჩვენმა ნაკრებმა კიდევ სამი უმაღლესი ჯილდო მიიღო და სამივე — მძლეოსნობაში. ჯერ ოქროს მედალი უროს ტყორცნაში ბელორუსიელმა იგორ ოსტაპკოვიჩმა დაისაკუთრა — 78,76 მ. მერე კიეველმა ვიქტორ სპასოვმა გამოიჩინა თავი — ჭოკით ხტომაში 565 სანტიმეტრი დაძლია. მესამე ოქროს მედალი კი გუნდს დაუმარცხებელმა ნატალია ლისოვსკაიამ მოუტანა. მის მიერ ნასროლი ბირთვი 20 მეტრსა და 48 სანტიმეტრზე დაეცა.

მძლეოსანთა შეჯიბრების დანარჩენ ლაურეატთაგან შეიძლება აღვნიშნოთ: 10 კილომეტრზე რბენაში აქსელ კრიპშოკი (გდრ) — 29.07,02, 110 მეტრზე თარჯრბენში ჯონათან რიჯეონი (ინგლისი) — 13,29, 400 მეტრზე ვაჟთა რბენაში მაიკლ ფრენსკი (აშშ) — 45,33 და ამავე დისტანციაზე ქალთა ასპარეზობაში დენინ ჰოვარდი (აშშ) — 51,07.

მოუთმენლად ელოდნენ მაყურებლები ფეხბურთელთა ნახევარფინალურ შეხვედრებს. სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებმა დაამარცხა 1985 წლის უნივერსიადის ჩემპიონი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი 2:1 (1:0). ფინალში საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქე სამხრეთ კორეის ნაკრები იქნება, რომელმაც ერთხელ ჯგუფურ ტურნირში უკვე სძლია ჩვენს სპორტსმენებს. სამხრეთ კორეის კოლექტივმა ნახევარფინალში ჩინელებს აჯობა — 3:1.

ჩინეთის გუნდთან გამარჯვების შემდეგ — 83:72 (51:42) ფინალში თამაშის უფლება საბჭოთა კავშირის კალათბურთელმა ქალებმაც მოიპოვეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მათი მეტოქე უნივერსიადის მასპინძელი — იუგოსლავიის ნაკრები იქნება (მანამდე იუგოსლავიელებმა ბულგარეთის ძლიერ გუნდს აჯობეს — 75:63). ვაჟთა ნაკრებმა მეორე შეხვედრაც წააგო — 79:82 (ამჯერად კუბასთან) და ამით ნახევარფინალში თამაში ერთობ საეჭვო გახადა.

ფრენბურთელ ქალთა ჯგუფურ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა ბულგარეთის გუნდი დაამარცხეს — 3:1. ჩინეთმა კი გდრ-ის ნაკრებს აჯობა — 3:0.

გამოვლინდა უნივერსიადის ჩემპიონი ტრამპლინიდან წყალში ხტომაშიც (ვაჟები). აქ ჩინელთა უპირატესობა აშკარა იყო. ოქროს მედალი ტან იანდს ხვდა (674,91 ქულა), ვერცხლისა კი ლი დელიანს (662,40). გამოცდილ ვორონეჟელ მხტომელს ნიკოლოზ დროჟინს მხოლოდ მესამე შედეგი ჰქონდა (580,80 ქულა).

## დაბალი შედეგებით

**ბრიანსკი.** მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის პირველმა დღემ გულშემატკივართა იმედები გააწბილა. ასპარეზობაში მონაწილეებმა, რომელთა შორის არიან მსოფლიო რეკორდსმენები, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონები, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი რამდენადმე დამაკმაყოფილებელი შედეგები ვერ აჩვენეს და ბრძოლაც, ამის გამო, უინტერესოდ მიმდინარეობდა.

ასე მაგალითად, 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებულის, 31 წლის ვალერი აბრამოვის შედეგი — 28.41,18, 60-იან წლებშიც კი საშუალო მაჩვენებელი იქნებოდა.

ვერც სპრინტერთა შეჯიბრების გამარჯვებულებმა გამოიჩინეს თავი. ოქროს მედლები გამოცდილმა მძლეოსნებმა მოიპოვეს, მაგრამ მათი შედეგები არც ისე მაღალია. ვაჟთა შორის უძლიერესი მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი (ესტაფეტაში) ყარაგანდელი ვლადიმერ მურავიოვი იყო — 10,26. ქალთა 100-მეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა ირკუტსკელმა მარინა მოლოკოვამ — 11,27.

ბირთვის მკვრელთა ყველა ტურნირს, ბოლო სამი წლის მანძილზე, ლენინგრადელი სერგეი სმირნოვი იგებს. იგი ამჯერადაც პირველი იყო, თუმცა გამარჯვება ლენინგრადელ მძლეოსანს ბოლო, მეექვსე ცდამ მოუტანა — 21,10 მ.

ჩემპიონატი 19 ივლისს დამთავრდება.

## მოულოდნელი მარცხი

**იუგოსლავიის** ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა პირველი საზონათშორისო ტურნირი. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა მოულოდნელი მარცხი განიცადა იუგოსლაველ საერთაშორისო ოსტატთან ალისა მარიჩთან შეხვედრაში. I ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ზოია ლელჩუკი (სსრ კავშირი) — იანა ფენი (კორეა) — 1:0, მარტა ლიტინსკაია (სსრ კავშირი) — გორდანა მერკოვიჩი (იუგოსლავია) — 1:0, ირინა ლევიტინა (სსრ კავშირი) — ალისა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 0:1, ილდიკო მადლი (უნგრეთი) — უ მინ ციანი (ჩინეთი) 1:0, სიუზა არკელი (ინგლისი) — იოარ კავესი (ბრაზილია) — 1:0, ადელ დე არმასი (კუბა) — ქრისთინ ნიუბერგი (შვეცია) — 1:0.

### ინფორმაცია

**ბონი.** საბჭოთა სპორტსმენების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა დასავლეთ გერმანიის ქალაქ შპაიხერსდორფში ევროპის ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. ჩვენმა გუნდმა შეჯიბრებაში 8 ოქროს, 7 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ: ვაჟთა შორის ნ. ნიკიტიუკი, ხოლო ქალებში ლ. ნემკოვა (ორივე — მოსკოვი).

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 28-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 12 ივლისს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 670676 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (28 ბარათი) მოგება 2020 მანეთია, ოთხისთვის (149) — 40, სამისთვის (28236) — 3.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 6.109034 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (14 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2444) — 237, სამისთვის (101073) — 11.

28-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 27 ივლისიდან 27 აგვისტოს ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი“

### 27-ე ტირაჟის შედეგები (5-6 ივლისი)

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 27-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც გაიმართა 1987 წლის 5-6 ივლისს.

იმის გათვალისწინებით, რომ ტირაჟში დაშვებული 6.076.483 ვარიანტიდან მომგებიანი აღმოჩნდა 1.527.398 ვარიანტი, მთავარმა სამმართველომ ლატარიის პირობების თანახმად მოსაგებ ფონდს სარეზერვო ფონდიდან დაუმატა 34.694 მანეთი.

13 შედეგის გამოცნობისათვის (18.474) მოგების თანხამ შეადგინა 6 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისათვის (404.300) — 70 კაპიკი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1.104.624) — 50 კაპიკი.

27 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 6 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 18 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (2)**; სტუდენტთა ზაფხულის მსოფლიო თამაშები (გადაცემა იუგოსლავიიდან) — **17.15 (2)** და **22.40 (2)**.

**საქართველოს რადიო. 18 ივლისი.** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (თბილისი) — **20.30**, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „გურია“ (ლანჩხუთი) და „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (მინსკი) — **21.30**.

## სპორტულ გაზეგზე

**ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 18 ივლისი.** „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა დიღომში. **„იმედი“-„დინამო“-2 — „დინამო“ (გაგრა).** დასაწყისი 19 საათზე. **19 ივლისი.** „ლოკომოტივის“ საწვრთნელი ბაზა დიღომში. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა** (თბილისი) — **„არმაზი“** (მცხეთა). დასაწყისი 18 საათზე.

## მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# „დაშნის ვუნდერკინდი“

**რაპირითა** და ხმლით ფარიკაობისგან განსხვავებით დაშნით ფარიკაობაში შედეგების პროგნოზი ძნელია. ამ სახეობაში უმაღლესი რანგის ტურნირების ზედიზედ მოგება შედარებით იშვიათია. სპორტსმენთაგან შეიძლება გამოიყოს მხოლოდ ყველაზე სტაბილური, ოღონდ — არა ლიდერი. დაშნით ფარიკაობის მდიდარი ტრადიციებით ცნობილ ქვეყნებში — გფრ-ში, საფრანგეთში, სსრ კავშირში, უნგრეთში, იტალიაში, შვეციაში, შვეიცარიაში ყოველწლიურად ახალი ფავორიტები ჩნდებიან.

დღესდღეობით ასეთ ფავორიტად ითვლება დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელი ალექსანდერ პუში. ეს მოფარიკავე ერთნაირად ძლიერია როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებებში. იგი დაიბადა 1956 წელს, დაამთავრა კიოლნის ფიზკულტურის ინსტიტუტი, გამოდის „ტაუბერბიშოფსჰაიმის“ გუნდის სახელით. პუშს ავარჯიშებს ცნობილი მწვრთნელი ემილ ბეკი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს სპორტსმენში მებრძოლის ხასიათის გამომუშავებას. ამიტომაც არის, რომ ამ თვისებებით გამოირჩევიან დასავლეთ გერმანიის ნაკრების სხვა წევრებიც — კ. ჰანიში, ი. ლოზერტი, ს. ბიშოფი, მ. ბერი, თ. ბერი, თ. ბახი, ე. ბორმანი, ვ. ფიშერი და სხვები.

ალექს პუშმა ფარიკაობაში ვარჯიში თორმეტი წლის ასაკიდან დაიწყო. ჩვიდმეტი წლისა უკვე დასავლეთ გერმანიის ჩემპიონი იყო უფროსებს შორის. ერთი წლის შემდეგ სტამბოლში გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო იმავე წელს უფროსების მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა გუნდურ პირველობაში. 1975 წლიდან კი მისი შეჩერება ვერავინ შეძლო. იმ წელიწადს პუშმა მეორედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, შემდეგ კი ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველობა არავის დაუთმო. ამის შემდეგ იგი მსოფლიო ფარიკაობის კლასიფიკაციაში უკვე პირველ ნომრად იყო დასახელებული.

მომდევნო წელს, მონრეალის ოლიმპიადაზე მან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული ავტორიტეტები, როგორიც იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი, უნგრელი გ. კულჩარი, მსოფლიო ჩემპიონი, შვედი რ. ედლინგი, ი. ოსტრიჩი და სხვები. პუშმა დაარღვია უნგრელების ჰეგემონია (წინა ორი ოლიმპიადა მათ მოიგეს) და ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ამგვარად, დასავლეთგერმანელ დაშნით მოფარიკავეთა შორის პირველმა დაიმსახურა მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის სახელი. ოლიმპიურ შეჯიბრებებს დაშნით ფარიკაობაში ასეთი ახალგაზრდა ჩემპიონი (პირადი პირველობა) არ ახსოვს. ოლიმპიადაზე იგი „დაშნის ვუნდერკინდად“ მონათლეს.

1978 წელს ჰამბურგში პუშმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. აქ მან ბრძოლა მოუგო ახალგაზრდა სპორტსმენს, ფარიკაობის ამომავალ ვარსკვლავს, ფრანგ ფილიპ რიბუს.

ყოველწლიურად დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰაიდენჰაიმში ტარდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება დაშნით ფარიკაობაში (გუნდური პირველობა). ყველაზე მეტი გამარჯვება (ხუთი) მოპოვებული აქვს „ტაუბერბიშოფსჰაიმის“ გუნდს, რომლის უცვლელი კაპიტანია ალექს პუში.

პუშს მოგებული აქვს მსოფლიო თასის გათამაშებაში შემავალი ტურნირების სერიები: კაროჩიოს პრიზი იტალიაში, ბერნის დიდი პრიზი შვეიცარიაში, „ტოკაი ექსპრესი“ უნგრეთში, რენე მონალის პრიზი საფრანგეთში, მარტინის თასი, არნჰეიმის თასი, მარტელის პრიზი, ევროპის ჩემპიონატი და სხვები. პუშს ყველაზე ხშირად ასახელებენ მსოფლიოს უძლიერესთა კლასიფიკაციის სამეულში, სადაც მას კონკურენციას მხოლოდ ჰარმენბერგი და რიბუ უწევენ.

1984 წელს ლოს-ანჟელესში პუშმა მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა, ოღონდ გუნდურ ასპარეზობაში. ფინალში დასავლეთგერმანელებმა დაამარცხეს საფრანგეთის ძლიერი ნაკრები, რომელშიც იყვნენ ამ ოლიმპიადის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი ბუასე და რიბუ. მომდევნო წლებში (1985, 1986) პუშმა მთელი ყურადღება გუნდურ გამოსვლებზე გადაიტანა და თავისი გუნდი ორივეჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახადა.

პუშის ფარიკაობა ძირითადად ტემპის მოგებას ეყრდნობა. იგი დაჯილდოებულია ექსტრემალურ პი-



ალექსანდერ პუში.

რობებში, ძალიან მოკლე, მაგრამ უაღრესად მძაფრ ბრძოლაში გამარჯვების გასაოცარი უნარით. საფარიკაო ბილიკზე ის ყოველთვის ცდილობს ამოიცნოს მეტოქის განზრახვა და დაასწროს მას. მისი ბრძოლის მანერა ეყრდნობა ერთი შეხედვით არალოგიკურ, სწრაფ და საოცრად მსუბუქ ნაბიჯ-ნახტომებს საფარიკაო დგომში. ამ დროს მეტოქისათვის უხერხული მდგომარეობა იქმნება, საბრძოლო მოქმედების ტრადიციული ლოგიკა ირღვევა. გარდა ამისა, საშუალო სიმაღლის მებრძოლი (პუშის სიმაღლეა 184 სმ, წონა — 72 კგ) უტოლდება მაღალ და გრძელხელება მეტოქეებს.

ალექს პუში მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან ნიჭიერ მოფარიკავეთა რიცხვს, რომელთა წარმატებები იმპროვიზაციას ეყრდნობა. ბრძოლის დროს აშკარად შეიმჩნევა პუშის შეიარაღებული ხელის მდგომარეობის თავისებურება. ჩამოშვებული ხელი ნიშნავს იმას, რომ იგი უარს ამბობს წინასწარ „დიალოგზე“. ე. ი. ძირითადი შეტევის მოსამზადებელ შერკინებაზე. პუში მეტოქეს არ აძლევს საშუალებას „წაიკითხოს“ საბრძოლო ფრაზების პირველი სტრიქონები და გამოიცნოს შემდგომი მოქმედებები. მისი დაშნა მეტოქისას ეხება ბრძოლის გადამწყვეტ სტადიაში, რომელსაც ჩხვლეტა მოსდევს.

დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შპიგელის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვით, ქვეყნის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენებში კარლ-ჰაინც რუმენიგესა და ბორის ბეკერის შემდეგ ალექსანდერ პუშიც შევიდა. მას „დაშნის ბეკენბაუერს“ და „ფარიკაობის კარაიანსაც“ კი უწოდებენ.

ამ სტრიქონების ავტორებს წილად ხვდათ ბედნიერება საფარიკაო ბილიკზე შეხვედროდნენ და გასცნობოდნენ მას. ეს იყო ესტონეთის დედაქალაქში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე „ტალინის მახვილი“.

პუში გუნდის ყველაზე მხიარული და გულღია წევრია. როგორც თვითონ გვითხრა, მისი დევიზია: „რაციონალიზმი და შემოქმედება“. ის ჩინებულად ერკვევა მუსიკაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში; სპორტში მისი ჰობი კი ავტომობილით სეირნობაა. იგი გამოირჩევა პუნქტუალობითა და შრომისმოყვარეობით.

პუში ბევრ სხვა ცნობილ სპორტსმენთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ბირთვული განიარაღების კამპანიაში.

გუშინ ლოზანაში დაიწყო მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ფარიკაობაში. ვნახოთ, მოიპოვებს თუ არა ალექსანდერ პუში მორიგ გამარჯვებას.

მასალა მოამზადეს
**გიორგი და შალვა კოკოჩაშვილებმა.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**



### 23-26 ივლისს

**თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება XVIII საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.** მონაწილეობენ: გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, მონღოლეთის, კორეის, რუმინეთის, იაპონიის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჰოლანდიის, ბელგიის, აშშ-ის, ესპანეთის, იტალიის, სირიის, კვიპროსის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ძიუდოისტები.

დასაწყისი 15 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66485**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07935